სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/114

ქ. თბილისი 16 მაისი 2019

სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 მარტის №01-05-04/56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 მაისის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 მარტის №01-05-04/56 დადგენილებაში და „მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების დამუშავება-ტესტირების საუნივერსიტეტო – სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) აღნიშნული ცვლილების შესაბამისად ცენტრის სახელწოდების დამტკიცება;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს ბატონი გრიგოლ კვარაცხელია;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**